ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად! #7 (10045) 24 Tebervali • 2014 w.

# ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

## დავით ნარმანია გურიაში

გაზეთი „ალიონი“



**წელს გურიის რეგიონში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 47 553 127 ლარი დაიხარჯება. აქედან 39 042 500 ლარის სამუშაოების დაფინანსებას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უზრუნველყოფს. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კი გურია დამატებით 8 490 627 ლარს მიიღებს.**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში გურიის გუბერნატორს გიორგი ჩხაიძეს და ადგილობრივი თვითმმართველობების ხელმძღვანელებს შეხვდა.

დავით ნარმანიამ გუბერნატორს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეებსა და გამგებლებს მიაწოდა ინფორმაცია იმ ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, რომლის განხორციელებასაც სამინისტრო 2014 წელს გურიის რეგიონში გეგმავს.

გურიაში განსახორციელებელი დამტკიცებული პროექტების მიხედვით, საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაციას 29 917 900 ლარი მოხმარდება. აღნიშნული თანხით 3 მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება. წელს დასრულდება ნატანები-შრომა-ურეკის საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია. სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის გზის ორ მონაკვეთზეც. ჩატარდა ტენდერი და წელს უნდა განხორციელდეს სოფ. მერიაში, მდ. ნატანებზე ხიდის მშენებლობა.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა რეგიონში წყალ-კანალიზაციის მშენებლობა-რეაბილიტაციას. ამ მიმართულებით პროექტების განსახორციელებლად 6 374 200 ლარი დაიხარჯება. დაგეგმილია ლანჩხუთიდა და ოზურგეთის წყალსადენი სისტემების რეაბილიტაცია. ასევე, ჩოხატაურისა და ურეკის წყალმომარაგების სისტემების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

წელსვე დასრულდება და ექსპლოატაციაში შევა ქ. ოზურგეთის ნაგავსაყრელის კეთილმოწყობა. დაგეგმილია ლანჩხუთისა და ოზურგეთის ნაგავსაყრელის სამუშაოები. მყარი ნარჩენების მართვის კუთხით, განსახორციელებელ პროექტებს სახელმწიფო ბიუჯეტი 340 470 ლარით დააფინანსებს. სამუშაოებს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია განახორციელებს.

გურიაში სხვა ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის სამინისტრომ 2 369 900 ლარი გამოყო. განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში მოხდება მდ. გუბაზეულის მიერ გამორეცხილი მიწის ვაკისის აღდგენა; ძველის ნაცვლად, ახალი სახიდე გადასასვლელი აშენდება მდ. სეფაზე; სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება მდ. ცხრაფონაზე არსებულ სახიდე გადასასვლელსაც; გარდა ამისა, დაგეგმილია შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესას საავტომობილო გზის ცალკეულ მეწყერულ მონაკვეთზე მიწის ვაკისის ჩაწყვეტის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები და ორაგვის ღელის წყალმიმღები ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები..

შეხვედრაზე ასევე განიხილეს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გურიის მუნიციპალიტეტებისთვის დამტკიცებული პროექტები, რომლის პრიორიტეტიც თავად ადგილობრივმა ხელისუფლებამ განსაზღვრა. რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ უკვე დაამტკიცა რეგიონში განსახირციელებელი გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია, 4 პროექტით— წყლისა და სანიაღვრე არხების მოწესრიგება; 8 პროექტით —საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია; ერთი პროექტით —გარე განათების მოწესრიგება.

წელს ამ ფონდის დაფინანსებით დასრულდება მერია-თხინვალის გზის სარებილიტაციო სამუშაოები, რომლის პირველი ეტაპი შარშან შპს „გზამშენი 18“-მა განახორციელა, (წელს გამოყოფილია 1 081 230 ლარი); ასევე განხორციელდება მერია-კონჭკათის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

## ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 15 ივნისს გაიმართება

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2014 წლის 15 ივნისს გაიმართება. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, პოლიტიკურ ძალებს, სადამკვირვებლო მისიებსა და საზოგადოებას არჩევნებისთვის მოსამზადებლად საკმარისი დრო ექნებათ.

მარგველაშვილის თქმით, ის მერების და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევას მიესალმება.

„თავისუფლება ხორციელდება მაშინაც, როცა თითოეული მოქალაქე ჩართულია და თანამონაწილეა ქვეყნის მმართველობის პროცესისა. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია თვითმმართველობა. თვითმმართველობა ის პირველი გაჩერებაა, როდესაც ინდივიდუალური ადამიანი ეხება დემოკრატიულ პროცესებს, ეხება დემოკრატიულ სისტემას და ხედავს, თუ რა სარგებელია ამ სისტემაში. მივესალმები იმას, რომ პარლამენტმა თვით-მმართველობის კოდექსი მიიღო და ამ რეფორმამ კოდექსის სახე შეიძინა. თუმცა თქვენ იცით, რომ რეფორმა კოდექსის მიღებით მხოლოდ იწყება, შესაბამისად, ჩვენს წინაშე, 2014 წელს, დგას უმნიშვნელოვანესი ამოცანა, არამხოლოდ ჩავატაროთ თვითმმართველობის არჩევნები, არამედ რეალურად დავამუშაოთ თვითმმართველობის სისტემა. მივესალმები იმას, რომ მერები და გამგებლები ახლა უკვე პირდაპირი წესით იქნებიან არჩეულები“, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

შეგახსენებთ, პარლამენტმა თვითმმართველობის



კოდექსი მიმდინარე წლის 5 თებერვალს, მესამე მოსმენით, 77 ხმით 7-ის წინააღმდეგ დაამტკიცა.

კოდექსის თანახმად, საქართველოში 5-ის ნაცვლად 12 თვითმმართველი ქალაქი იქნება, სადაც მერს და გამგებლებს მოსახლეობა პირდაპირი წესით აირჩევს.

კოდექსის მიხედვით, თავდაპირველად არსებულ მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანებები სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებად გარდაიქმნება. საკონსულტაციო საბჭო მონაწილეობას მიიღებს კონსულტაციებსა და განხილვებში.

## საკრებულოს სხდომა უმცირესობის აქტიურობით

გაზეთი „ალიონი“



20 თებერვალს გამართულ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას 22 დეპუტატი ესწრებოდა. დეპუტეტბის ნაწილი თვეებია სხდომებს არ ესწრებიან. ამ სხდომაზე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მო ძრაობა“ მთლიანად იყო წარმოდგენილი და წინასაარჩევნოდ რამდენიმე განსახილველი თემის გარშემო მწვავე კითხვებიც დასვეს. სხდომას ავთანდილ სურგულაძე უძღვებოდა.

განიხილეს 12 საკითხი.

წელს მუნიციპალიტეტის 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში პირველი ცვლილება განხორციელდა:

შემოსავლების ნაწ-ილში ტრანსფერები 1103,2 ათასი ლარით გაიზარდა; ასევე გაიზარდა იგი გადასახდელების ნაწილში 11-03, 2 ათასი ლარით.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 20 იანვრის №78 განკარგულებით რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის შესაბამისად, საპროექტო დოკუმენტებისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვებისთვის გამოყოფილია თ-ანხა 22, 5 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურუ-ლი სამუშაოებისთვის 1081,2 ათასი ლარი.

ასევე განიხილეს: ადგილობრივი ბიუ-ჯეტით სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის ხარჯიდან 1000 ლარი შეიტანეს ნიადაგის ლაბორატორიული ანალიზების ჩასატარებლად; სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალების შესყიდვის ხარჯი გაზარდეს 4 400 ლარით;

სახელმწიფო ბიუჯეტით საექსპერტო მომსახურების ხარჯი გაზარდეს 22, 5 ათასი

▶▶▶ გვ-2

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
|  მზე, ღრუბელი +11+18 |  ღრუბელი +11+19 |  მზე, ღრუბელი +11+21 |  წვიმა +8+14 |  ძლიერი წვიმა +6+10 |  წვიმა +6+12 |  ღრუბელი +7+14 |
| 24 თებერვალი ორშაბათი | 25 თებერვალი სამშაბათი | 26 თებერვალი ოთხშაბათი | 27 თებერვალი ხუთშაბათი | 28 თებერვალი პარასკევი | 1 მარტი შაბათი | 2 მარტი კვირა |

## ვულოცავთ!

გაზეთ „ალიონის“რედაქცია ულოცავს დაბადების დღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ავთანდილ სურგულაძეს** და უსურვებს ჯანმრთელობას, წარმატებებს მის ლამაზ ოჯახთან ერთად

# საკრებულოს სხდომა უმცირესობის აქტიურობით

ლარით; მერია-თხინვალის შემაერთებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად –1 081 230 ლარი;

2013 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერებიდან დარჩენილი ეკონომიების ხარჯზე შეიტანეს: სტიქიიდან მიყენებული ზარალისათვის 116 000 ლარი; ასევე 113 300 ლარი შეიტანეს სხვადასხვა განკარგულებით.

პირველი უარყოფითი რეაქცია უმცირესობამ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცებისას გამოხატა. მათ ხმა არ მისცეს ამ საკითხს. საბოლოოდ დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით (16 კაცი) დებულება დაამტკიცეს.

კამათი გაიმართა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირებში თანამშრომლების მიღების წესის დამტკიცებისას.

დეპუტატმა **ავთანდილ ხინთიბიძემ** განაცხადა, რომ ძალიან ცუდი ხმები დადის საბავშვო ბაღებში მიღებებთან დაკავშირებით. ჩვენი ინფორმაციით სოფ. მერიის საბავშვო ბაღში მიღებულთაგან არ არის მერიელები.

დეპუტატს ბაღების გაერთიანების უფროსმა **მაკა ჭყონიამ** უპასუხა: კომპენტენტური კომისია გვყავდა ვაკანტურ თანამდებობებზე მისარებად გასაუბრების ჩასატარებლად; კომისიაში იყვნენ საკრებულოს დეპუტატები თემურ მოქია და ირინა საჯაია; ფსიქოლოგი თეონა ქემაშვილი; „სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბიროს“ წარმომადგენელი ნათია გეგიაძე; აიპის სპეციალისტები; უნდა მიგველო სამსახურში ის ქალბატონი, რომელმაც ჩვენ კითხვაზე უპასუხა, რომ ერთ კგ. ყველით შვიდი ხაჭაპური გამოცხობოდა? (ხაჭაპურის თემას დეპუტატების გამხიარულება მოჰყვა). ან მიმეღო მუსიკის მასწავლებლად ის პედაგოგი, რომელმაც პიანინოზე ვერ დაუკრა? 250 განცხადებიდან 53 ადამიანი დავაკმაყოფილეთ. სოფ. მერიიდან 7 ადგილობრივი კადრი მივიღეთ. მენეჯერები 4-თვიანი ვადით არიან დანიშნულნი. მომავალში მიღება ტესტირებითა და გასაუბრებით მოხდება.

დეპუტატმა **ირინა საჯაიამ** გამოთქვა აზრი, რომ არ დაილევა საჩივრები და ეს თემა უნდა დასრულდეს.

**მაჟორიტარმა დეპუტატმა დაბა ნარუჯიდან ვალოდია ბერიძემ დასვა კითხვა: თუ რატომ არ იხსნება ბაღები და ახალი ჯგუფები, როცა სარემონტო სამუშაოები დასრულებულია. ასე ხომ შეიძლება 5-წლიან ბავშვებს არც კი მოუწიოთ ბაღში მისვლა?**

ხანგრძლივ აზრთა სხვადასხვაობას კენჭისყრა მოჰყვა, სადაც რამდენიმე დეპუტატმა ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა.

საკრებულომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის დაამტკიცების შესახებ საჯარო-ადმინისტრაციული განხილვა დაიწყო. ამ თემაზე თავისი დადებითი პოზიცია გამოხატა საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის თავმჯდომარე ლევან ხინთიბიძემ.

**სასაფლაოების მოვლა-პატრონობა ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს**

—ასე დააფიქსირა თავისი პოზიცია სკარებულოს დეპუტატმა **შალვა თავდიშვილმა** საკითხის „ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე მდებარე სასაფლაოებზე საფლავის გამოყოფის, სასაფლაო მომსახურების სახეობებისა და საფასურების განაკვეთების შემოღებისათვის, არასამერწამეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის სერვისცენტრისთვის“ თანხმობის მიცემის შესახებ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად საჯარო-ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“—განხილვისას.

**შარშან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს 300 ათასი ლარი არ აუთვისებია, მივცეთ ეს თანხა „სერვისცენტრს.“ თუ დავაწესებთ გადასახადს, იგი ნებაყოფლობითი უნდა იყოს– განაცხადა თავდიშვილმა.**

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელის **თამაზ ტრაპაიძის** აზრით, სასაფლაოების თემა მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებაა. აქ ცალკე თემაა გადასახადის ოდენობა. უნდა ვიცოდეთ,რა უჯდება ოზურგეთის „სერვისცენტრს“ სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.

დეპუტატმა **მერაბ მჟავიამ** თქვა, რომ ვხედავთ ეს კეთილშობილი საქმე პოლიტიკური განსჯის საგნად რჩება.

სათანადო განმარტებები გააკეთა „სერვისცენტრის“ უფროსმა ვლადიმერ სალუქვაძემ.

საბოლოდ ხმათა უმრავლესობით ამ საკითხის საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო.

დეპუტატმა **თამაზ სალუქვაძემ** ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე არსებული აპ. წულაძის, გურიის, გაბრიელ ეპისკოპოსისა და რამიშვილის ქუჩებზე მოძრაობის დაგეგმარების საკითხი წარმოადგინა, ხოლო შემდეგ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

მიუხედავად მრავალგზის განხილვისა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დროშა და გერბი არ მიუღიათ. ამჯერად საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო.

—გერბზე „კრიმანჭულიც“უნდა ავსახოთ. გურულებს ამის მეტი მაინც არაფერი გვიკეთებია—იუმორი შეაშველა სხდომის მონაწილეებს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **ლევან ნინიძემ.**

ბოლოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ საკრებულოს დადგენილება დაამტკიცეს.

# მაჟორიტარი დეპუტატი მოქალაქეების მიღებაზე

**გაზეთი „ალიონი“**



საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად კვაჭანტირაძე ქ. ოზურგეთში პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტში“გამართულ წარჩინებული მოსაწავლეებისა და წარმატებულ პედაგოგების დაჯილდოების ცერემონიალს დაესწრო.

დღის ბოლოს ზვიად კვაჭანტირაძე დეპუტატის ბიუროში მოქალაქეებს შეხვდა.

მიღებაზე მოქალაქეებმა რამდენიმე პირად თემაზე სთხოვეს დეპუტატს დახმარება. ერთ-ერთი მოქალაქის მიერ შავიზღვისპირა ახალი ტრასის მშენებლობისას მიწების კომპენსაციის თემაზე დაყენებული საკითხის გარშემო განხილვაში გურიის გუბერნატორი გიორგი ჩხაიძე და მუნიციპალიტეტის გამგებელი კონსტანტინე შარაშენიძე ჩაერთვნენ.

მოქალაქეთა მიღების დასრულების შემდეგ მაჟორიტარმა დეპუტატმა ზვიად კვაჭანტირაძემ გაზეთ „ალიონთან“განაცხადა, რომ იგი პარლამენტში ოზურგეთელ და სხვა მოქალაქეებს თითქმის ყოველდღიურად ხვდება. ხოლო მისი მუშაობის რეჟიმიდან გამომდინარე მართალია ყოველ კვირაში ვერ ჩამოდის ოზურგეთში, მაგრამ დეპუტატის ბიურო დროულად აწვდის თითოეულ განცხადებას და იგი არაერთ მოქალაქეს დაეხმარა კონკრეტული საკითხის გადაწყვეტაში.



## ვულოცავთ!

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თბილი გულითა და საუკეთესო სურვილებით ულოცავს ქ. ოზურგეთის მესამე საჯარო სკოლის წარმატებულ დირექტორს **ნანა გაგუას** ულამაზეს იუბილეს—დაბადებიდან 50 წლის ღირსეულად გასრულებას.

კრძალვით ვხრით თავს მისი ესოდენ ლამაზი ნაღვაწის წინაშე. 50 წელი შემოქმედებითი შუადღეა, წინ უდევს პედაგოგიური ღვწის დიდი გზა. ასეთივე წარმატებებით ყოფილიყოს დახუნძლული მომავალი. კვლავ ზეაღმართული ყოფილიყოს მისი პედაგოგიური მოღვაწეობა.

გფარავდეს უფალი ნანა!

# არაფორმალური განათლების როლი და ფუნქცია საზოგადოებაში

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი არაფორმალურ განათლებას ენიჭება. არაფორმალური განათლება სხვადასხვა ღონისძიების, ტრენინგისა თუ კონკურსის მეშვეობით მიზნად ისახავს მოქალაქეთა ცოდნის, უნარ-ჩვევების და სხვადასხვა კომპეტენციის გაუმჯობესებას. სკოლის, სკოლამდელი,უმაღლესი თუ სხვა სასწავლო დაწესებულებებისაგან განსხვავებით,რომელთაც სწავლების კონკრეტული ვადები აქვთ,არაფორმალური სწავლება ნიშნავს სწავლებას სისოცხლის ბოლომდე. იგი შეიძლება იყოს ინდივიდუალური და სოციალური განათლების ნებისმიერი დაგეგმილი პროგრამა, რომელთაც არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციები ახორცილებენ. ზოგადად არაფორმალური განათლების სამიზნე ჯგუფს ნებისმიერი ასაკობრივი კატეგორიის ადამიანები შეიძლება წარმოადგენენ.

ჩვენს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ მიწოდებული არაფორმალური განათლების ძირითადი სამიზნე ჯგუფი ახალგაზრდები არიან. თავის მხრივ ახალგაზრდებიც ამ მიმართულებით რაიონის მასშტაბით განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევიან. არაფორმალური განათლების ახალგაზრდებისათვის მიწოდებისა და შესაბამისი კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელების ერთ-ერთი მაგალითია ოზურგეთის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მიერ განხორციელებული კონკრეტული და გამორჩეული ღონისძიებების, არაფორმალური განათლების მასშტაბებსა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხზე მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორის მოადგილე ქალბატონი **მარინა გოგოტიძე** გვესაუბრა.

**მარინა გოგოტიძე-** ოზურგეთის ახალგაზრდული სახლი ძირითადად ისეთი ღონისძიებების ჩატარებაზეა ორიენტირებული,რომლებიც ხელს მოსწავლეთა კლასგარეშე აქტივობის განვითარებასა და გაძლიერებას უწყობენ. კონკრეტულად ვგეგმავთ და ვახორციელებთ: ოლიმპიადებს სხვადასხვა სასკოლო საგნებში; კლუბი " გონიერი" ატარებს სხვადასხვა ინტელექტუალურ თამაშებს. თამაშებში 14 საჯარო სკოლა მონაწილეობს. გარდა ამისა ფუნქციონირებს სპორტული კლუბი "ოლიმპი" და ყოველწლიურად ტარდება რაიონული მხიარული სტარტები, რომლებშიც მრავლადაა გონებრივი ამოცანებიც. პარალელურად მოქმედებს „საჭადრაკო კლუბი,“ რომელსაც ქალბატონი ნინო ნატაიშვილი ხელმძღვანელობს. ყველა ეს აქტივობა არასასკოლო გარემოში მოსწავლეთა უნარ-ჩვევების გამოვლენასა და შემგომ განვითარებას ემსახურება. აჩვევს მათ დამოუკიდებელ, სწრაფ მოქმედებასა და აზროვნებას.

არაფორმალური განათლების ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები ოზურგეთში სხვა ასაკობრივ კატეგორიებზეც არის მიმართული და როგორც პროფესიული ცოდნისა და უნარების, ისე ზოგადი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას ემსახურება. ამ კუთხით დატვირთული და საინტერესო ადგილია "დემოკრატიული ჩართლობის ცენტრი". 21 თებერვალს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში "კოალიციამ დამოუკიდებელი საქართველოსთვის“ ჩაატარა ინფორმაციულ-საგანმანათლებლო სემინარი, რომლის შინაარსსა და მიზანზე კოალიციის ახალგაზრდული ფრთის ლიდერი **ლადო ხავთასი** გვესაუბრა:

**ლადო ხავთასი** - ვატარებთ ტრენინგებს, როგორც სასკოლო,ისე უფროსი ასაკის კონტიგენტისათვის. ტრენინგების მიზანი რაიონის მოსახლეობის საზოგადოებრივი და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაა. 21 თებერვალს გამართული სემინარი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაცნობას, მათი საზოგადოებაში ინტეგრირებისა და გარემოსთან ადაპტაციის საკითხს მიეძღვნა . ამ ღონისძებებში ჩართულია ორგანიზაცია „მარდი“ რენო მიქავას ხელმძღვანელობით და ტრენინგები ამ კუთხით მასწავლებლებისთვისაც ტარდება.

არაფორმალური განათლება საბოლოო თვალსაზრისით, როგორც ახალგაზრდებში,ისე უფროსი ასაკობრივი კატეგორიის ადამიანებში სამოქალაქო და პროფესიული აქტივობის სურვილისა და ხარისხის გაზრდას გულისხმობს. სხვადასხვა სემინარის თუ ინტელექტუალური ღონისძიების ფარგლებში მიღებული ცოდნა, როგორც მოზარდი ისე ზდასრული პიროვნების ინდივიდუალურ განვითარებას ემსახურება. ამ მიმართულებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გააქტიურებული სამთავრობო და არასამთავრობო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოების შემდგომი განვითარების კარგ საფუძველს იძლევა. საზოგადოებრივად და სოციალურად აქტიურ ახალგაზრდობას და სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს კი მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ არამარტო ქალაქის, არამედ რაიონისა და ქვეყნის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში.

**ანანო სირაძე,**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი

# დირექტორების სერტიფიცირება დასკვნით ეტაპს უახლოვდება

ბოლო დროს საკმაოდ აქტუალური იყო დირექტორების სასერტიფიკატო გამოცდები. ამ თემასთან დაკავშირებით გადავწყვიტე, გავსაუბრებოდი მესამე სკოლის დირექტორს, **ნანა გაგუას**, რომელმაც წარმატებით გაიარა გამოცდის ორივე ეტაპი.



**— იყავით თუ არა ინფორმირებული გამოცდების ჩატარების დეტალებთან დაკავშირებით?**

— დიახ, რამდენიმე თვით ადრე უკვე ცნობილი იყო, რომ მოგვიწევდა გამოცდის ჩაბარება, ეს არ ყოფილა ჩემთვის მოულოდნელი, რადგან ჩემი დირექტორობის მეორე ვადა უკვე იწურებოდა. ამის შემდეგ უკვე სამინისტრომ მოგვაწოდა ინფორმაცია გამოცდების დეტალებზე, თუ როგორ ჩატარდებოდა იგი, ვფიქრობ, online რეჟიმში გამოცდის ჩატარება იყო კარგი სიახლე, უფრო კომფორტული, რადგან გამოცდის შედეგს მისი დასრულებისთანავე ვიგებდით, შემდეგ უკვე გავიარეთ მეორე ეტაპი, გასაუბრება.

**— ის პროგრამა, რომელიც შემოთავაზებული იყო გამოცდებისთვის, თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება დირექტორების საქმიანობას?**

— ვფიქრობ, შეესაბამება, აქ საუბარია კანონმდებლობაზე და ისეთ პუნქტებზე, რომლებიც, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ დირექტორმა იცოდეს. თანაც, ტესტიდან გამომდინარე, დაზეპირება არ იყო საჭირო, უფრო აინტერესებდათ, როგორ გამოვიყენებდით თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში. საკმაოდ რთული იყო...

**— დირექტორების ნაწილი 60%-იანი ბარიერის დაწევას მოითხოვდა, რას ფიქრობთ თქვენ ამ საკითხზე?**

— როგორც მე ვიცი, ოზურგეთში საკმაოდ კარგი შედეგები აქვთ დირექტორებს. ვინც ვერ ჩააბარა, ეს, ჩემი აზრით, გამოწვეული იყო იმით, რომ ისინი ძალიან ნერვიულობდნენ. პრობლემა იყო ემოციის მართვა და არა 60%-იანი ბარიერი.

**— როგორ მიმდინარეობდა გამოცდის მეორე ეტაპი-გასაუბრება?**

— ეს იყო გასაუბრება ოთხკაციან კომისიასთან, როგორც მე ვიცი, ერთ-ერთი იყო ფსიქოლოგი, კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა მეორე ეტაპი. მკითხეს, თუ რა პრობლემები იყო ჩემს სკოლაში, როგორ ვგეგმავდი ამ პრობლემების მოგვარებას. დაახლოებით ამ ტიპის კითხვებზე მომიწია პასუხის გაცემა.

**— წინასწარ იყო თუ არა ცნობილი, რა კრიტერიუმებით შეფასდებოდა დირექტორი მეორე ეტაპზე?**

—არა, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის არ იყო ცნობილი, ერთ-ერთი კრიტერიუმი, ჩემი ვარაუდით, იქნებოდა პრეზენტაციის უნარი, საკუთარი აზრის სწორად ჩამოყალიბება...

**—დირექტორთა ნაწილს ეჭვი შეჰქონდა კომისიის წევრების კომპეტენტურობაში, თქვენი აზრი მაინტერესებს ამ საკითხზე.**

— იცით, საკმაოდ კეთილგანწყობილი გარემო იყო, გამჭირვალეც, არა მგონია, კომისიის წევრების კომპეტენტურობაში ეჭვის შეტანა ღირ-დეს.

**— ხართ თუ არა ინფორმირებული, თუ როგორ ან როდის ჩატარდება მესამე ეტაპი- სტრატეგიული გეგმის წარდგენა სამეურვეო საბჭოსთვის?**

— მე ჯერ-ჯერობით ის ვიცი, რომ ჩატარდება მესამე ეტაპი, მომიწევს სტრატეგიული გეგმის დაწერა და წარდგენა სამეურვეო საბჭოს წინაშე. სხვა დეტალები ჩემთვის უცნობია, ალბათ, განათლბის სამინისტრო მოგვაწვდის ინფორმაციას და მოსამზადებლადაც საკმარისი დრო გვექნება. პირადად მე, ვფიქრობ, რომ სტრატეგიული გეგმის დასაწერად ბევრი დრო არ დამჭირდება, რადგან კვლევა, რომელიც წინ უძღვის ამ გეგმის დაწერას, მე უკვე მრავალჯერ მაქვს ჩატარებული, ამიტომ, იმედი მაქვს, დაწერა არ გამიჭირდება.

რადგან თემა საკმაოდ აქტუალური იყო, გადავწყვიტე ოზურგეთის რესურსცენტრის ხელმძღვანელს, **ლელა იმედაშვილს** გავსაუბრებოდი.

**— რამდენი დირექტორი იყო სულ დარეგისტრირებული და რამდენი მათგანი გახდა სერტიფიცირებული?**

— მე რა ინფორმაციაც მაქვს, შევჩერდები მხოლოდ გასაუბრების ნაწილზე, 9 ადამიანია ისეთი, რომლებმაც გაიარეს ტესტირება, მაგრამ სერტიფიკატი ვერ აიღეს, ხოლო 15 გახდა სერტიფიცირებული.

**— შედეგების გამოცხადების შემდეგ მოგმართეს თუ არა პრეტენზიით დირექტორებმა, რომლებმაც ვერ გადალახეს ბარიერი?**

-ეს არ ყოფილა პრეტენზია, ეს იყო უბრალოდ გულდაწყვეტა, რაც აბსოლიტურად გასაგებია. ამ ადამიანებმა გაწიეს შრომა, ელოდნენ შედეგს, სამწუხაროა, რომ ბარიერი ამ ეტაპზე ვერ გადალახეს.



**— განათლების სამინისტრო ვარაუდობდა, რომ თითო სკოლაში 2-3 დირექტორობის კანდიდატი იქნებოდა, თუმცა ჯერ-ჯერობით 921 სერტიფიცირებული დირექტორი გვყავს, სკოლა კი 2000-ზე მეტია.**

— ჩვენ ახლა უკვე ვსაუბრობთ მესამე ეტაპზე. კონკურსი ჯერ გამოცხადებული არ არის, თანაც ახლა იმ დირექტორებს, რომლებმაც ვერ გადალახეს ბარიერი, ეძლევათ შანსი, თავიდან ჩააბარონ გამოცდა. ამის შემდეგ, სავარაუდოდ, მარტისთვის უკვე დაიგეგმება დასკვნითი ეტაპები, ასე რომ, ახლა ძნელია იმაზე საუბარი, რამდენი კანდიდატი იქნება თითოეულ სკოლაში. ჩვენ უნდა დაველოდოთ განათლების სამინისტროს, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს შემდეგ ნაბიჯებს.

**— როგორც აღმოჩნდა, დირექტორებმა არ იცოდნენ ის კრიტერიუმები, რომლებითაც შეფასდებოდნენ, ნაწილს კომისიის კომპეტენტურობაშიც ეპარება ეჭვი. რა კომენტარს გააკეთებთ თქვენ ამასთან დაკ-ავშირებით?**

— ეს კითხვა, უმჯობესია, დაუსვათ განათლების სამინისტროს, რადგან რესურსცენტრს არ ეხება. კომისიის წევრებს რაც შეეხებათ, პირადად ნამდვილად არ მეპარება ეჭვი მათს კომპეტენტურობაში.

**— დირექტორები, რომლებმაც ვერ ჩააბარეს გამოცდა, აგრძელებენ თუ არა ჩვეულ რეჟიმში მუშაობას?**

-დიახ, ყველა დირექტორი აგრძელებს მუშაობას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის სერტიფიცირებული. ჩვენ ამ ეტაპზე ველოდებით განათლების სამინისტროს შემდგომ ნაბიჯებს.

**ხატია ჭანიშვილი**
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტი

## ვულოცავთ!

გულწრფელი სიყვარულით და პატივისცემით ვულოცავთ ბედნიერებას ცხემლისხიდის საჯარო სკოლის ახალგაზრდა პედაგოგს **თამთა კვირკველიას.**

ვუსურვებთ მის ახლადშექმნილ ოჯახს სიცილმრავლობას, ჯანმრთელობას. გამრავლება, გაზაფხულივით მარადისი სიცოცხლე, ცხოვრების გზაზე აროდეს ჩრდილები! მხოლოდ მზე და სინათლე., სინათლე და მზე იყოს მათი ცხოვრების თანამდევი.

ღვთიური გზით ევლოთ.

**საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია**
.

# ლეო ანთაძე ოზურგეთში

**ნუგზარ ასათიანი**




საქართველოს კულტურის სამინისტროს პროექტის ფარგლებში ოზურგეთში იმყოფებოდა საქართველოს სახალხო არტისტი, კოტე მარჯანიშვილის თაეტრის მსახიობი **ლეო ანთაძე.**

ლეო ანთაძეს ფესვები გურიიდან, კერძოდ სოფ. ბახვიდან აქვს. მისი ბებია ცნობილი საბავშვო მწერალი ნინო ნაკაშიძე გახლდათ. ლეო ანთაძეს, როგორც ერთ-ერთ უნიჭიერეს მსახიობს, 26 წლის ასაკში მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება.

ნოდარ დუმბაძის ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი‘‘(გიგა ლორთქიფანიძის დადგმა) გასახიერებულმა ზურიკელამ მაშინვე დაიპყრო მაყურებლის გულები. ეს სპექტაკლი მარჯანიშვილში 600-ჯერ შეასრულეს. ამ სპექტაკლში მონაწილეობდნენ სესილია თაყაიშვილი, ალექსანდრე ჟორჟოლიანი, გრიგოლ კოსტავა.

შემდეგ იყო მარჯანიშვილის თეატრის ნიჭიერი ახალგაზრდების დიდი გუნდის გადასვლა რუსთავის თაეტრში, სადაც ლეო ანთაზე სერვანტესის ლამანჩელში ოთარ მეღვინეთუხუცესს უწევდა პარტნიორობას. ორთავენი შეუდარებლები იყვნენ. შემდეგ ეს ჯგუფი მარჯანიშვილის თეატრში დაბრუნდა და კვლავ ახალი როლები.

მას ეკუთვნის საავტორო სპექტაკლი ,,ბახტრიონი,‘‘ ,,აგარაკი.‘‘

ლეო ანთაძეს 27 ფილმში აქვს ნათამაშევი. აქედან ყველაზე დასამახსოვრებელი მაინც კახაბერის როლია ფილმში ,,ყვავილი თოვლში‘‘. მონაწილეობს ტელესერიალებშიც.

სათქმელი ბევრი ჰქონდა ღვაწლმოსილ მსახიობს ოზურგეთელთათვის და ოზურგეთის თეატრის გაყინულ დარბაზში მსხდომ 80-მდე ადამიანს თავისი სასცენო ხელოვნების ისეთი ცეცხლი დაუნთო, რომ არაერთხელ გაისმა დარბაზში ტაში და შეძახილი: ,,ბრავო!‘‘

დავით კლდიაშვილის ,,სამანიშვილის დედინაცვალი‘‘, დემნა შენგელაის ,,ბათა ქექია,‘‘ აკაკი ბელიაშვილის ნოველა ,,ღირსეული სასჯელი,‘‘ სოლომონ თავაძის ერთ-ერთი მოთხრობა და კიდევ რამდენიმე მწერლის სცენური გმირები წარმოადგინა იმ საღამოს ბატონმა ლეომ.

დასასრულს 82 წლის მსახიობს მიესალმნენ ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ სურგულაძე, კულტურის სამსახურის უფროსი მაია თანდილაშვილი, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვასილ ჩიგოგიძე.

ღვაწლმოსილ მასხიობს თბილი შეხვედრები ჰქონდა სოფ. ბახვში და ნატანებში.

# უ ა ნ გ ა რ ო



დღის პირველ საათზე სოფელ მაკვანეთის ცენტრში ვიყავი, ამბულატორიაში შევედი, სადაც 3 ქალი დამხვდა, ერთი მაგიდასთან იჯდა, პაციენტს დანიშნულებას უწერდა, სამივე ღიმილით მომესალმა და როცა გაიგეს, რომ სტატიის დაწერას ვაპირებდი, ყველა მაშინვე მიხვდა, ვინ იქნებოდა ჩემი მომავალი რესპონდენტი... ნინელი როყვა, რომელიც სოფელ მაკვანეთის ამბულატორიაში უკვე 26 წელია მუშაობს. მას ყველა იცნობს და ყველას უყვარს... როცა ჩემი იქ მისვლის მიზეზი გაიგო, გაეღიმა და თქვა, რომ განსაკუთრებულს არაფერს აკეთებს, თუმცა, სოფელში სულ სხვანაირად ლაპარაკობენ... იქვე მყოფმა ერთ-ერთმა ქალმა ისიც კი თქვა, რომ ძალიან უნდათ, ნინელის შესახებ ტელეკომპანია ,,იმედის‘‘ გადაცემა ,,იმედის გმირებს‘‘ მიაწვდინონ ხმა, რადგან ეს ქალი აკეთებს იმას, რასაც ბევრი ნამდვილად არ გააკეთებდა, თუმცა, გარკვეული პრობლემების გამო ჯერ ვერ მოახერხეს ამ იდეის განხორციელება. იმედი აქვთ, რომ მათი მონდომებით და საზოგადოების მხარდაჭერით, ნინელის მალე ვიხილავთ ,,იმედის გმირებში‘‘.

პაციენტები ერთმანეთს ცვლიდნენ, ჩემი მისვლის მიზეზს რომ იგებდნენ, ყველა ნინელიზე იწყებდა ლაპარაკს... ყველა მხოლოდ იმას ამბობდა, რომ ეს ქალი ყოველთის მზად არის, დაეხმაროს მას, ვისაც ეს სჭირდება...

თავად ნინელის კი ვთხოვე, ერთი სამუშაო დღე აღეწერა, მითხრა, რომ ყველა დღე ძალიან ჰგავს ერთმანეთს, დილით სამსახურში ადრე მოდის, დღეში საშუალოდ 15-20 პაციენტს იღებს, ზოგს რა აწუხებს, ზოგს - რა, ზოგიერთი პაციენტი ამბულატორიაში მისვლას ვერ ახერხებს, ასეთ შემთხვევაში ნინელის თავად უწევს ავადმყოფთან მისვლა, იმასაც ამბობს, რომ მისი სამუშაო დღე საათებით არ შემოიფარგლება, მისი გრაფიკი 24 საათიანია. ამბობს, რომ დღესა და ღამეს მნიშვნელობა არ აქვს, მისი სამუშაო საათი მაშინაა, როცა პაციენტს სჭირდება. თუმცა, სწორედ ესაა მისი სამსახური, რომელიც ძალიან უყვარს... საუბარში ახალმოსული პაციენტიც ჩაერთო და დაამატა, რომ ნინელი თავად ამზადებს მალამოებს, რომლებსაც შემდეგ მთელ სოფელს უანგაროდ აძლევს.

როგორც აღმოჩნდა, ნინელი მაკვანეთის ამბულატორიაში მედდად მუშაობს, ხელფასი საკმაოდ დაბალია. როგორც გავარკვიეთ, უკვე რამდენიმე თვეა, კიდევ უფრო შეუმცირეს.. თანასოფლელები ამბობენ, რომ ანაზღაურება მინიმალურია და გაწეულ შრომას ნამდვილად არ შეესაბამება, თუმცა, ნინელი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ, მართალია, ხელფასი საკმაოდ დაბალი იყო და კიდევ უფრო შეუმცირეს, მაგრამ მისი პაციენტები აგრეთვე თანასოფლელები, მეზობლები არიან, შესაბამისად, მისთვის ამ შემთხვევაში ხელფასი არ არის გადამწვეტი, თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ მატერიალური მხარე აუცილებლად მოწესრიგებული უნდა იყოს, მით უმეტეს, როცა ოჯახი ჰყავს ადამიანს. (ჩვენს რესპონდენტს მეუღლე და 3 შვილი ჰყავს).

მალე ოთახში ახალგაზრდა კაცი შემოვიდა, თქვა, რომ ბავშვი რაღაც შეუძლოდ იყო, ნინელიმ ბოდიში მომიხადა და მითხრა, რომ აუცილებლად უნდა წასულიყო, მალევე მოემზადა და კარი გადაკეტა. სანამ მანქანაში ჩაჯდებოდა, დამიძახა: ,,აი, ეს არის ჩემი სამუშაო დღე!‘‘

**ხატია ჭანიშვილი**
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტი

# „მცხეთის ქალაქს მირონი დუღს...“

ნინო ნიკოლაიშვილი



თებერვლისთვის უჩვეულო არაფერია ცივი, ქარიანი ამინდი დროდადრო წვიმით. სამ- აგიეროდ უჩვეულო იყო გრძნობა ამ დღისა. 22 თებერვალი – მცხეთის ქალაქს დუღდა მირონი. წმიდა სალოსი ბერის მამა გაბრიელის წინასწარმეტყველებისამებრ ,უსაზღვრო იყო დინების ნაკადი უცხოელი, თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ადამიანებისა. მადლი მოეფინა ამ დღეს ქვეყანას, გაიხსნა მამა გაბრიელის საფლავი. საკმევლის სურნელი ტრიალებდა მცხეთას. ღრუბლის ფთილები ირეოდნენ ცაზე, ხან თეთრი, ხანაც მეწამულის-ფერი. პარაკლისი, გალობა, ლოცვა. მადლი, –ქარს გადაჰქონდა თითქოს, რათა მოეფინა ქვეყნისთვის. იმედად მდგარი ქვეყნისთვის სვეტიცხოველი, სამთავრო, ჯვარი. სამთავრ- ოდან სვეტიცხოველში გადააბრძანეს წმიდა მამის წმიდა ნეშტი, ათასობით ადამიანი მიეა- ხლა, პატივი მიაგო, წყალობა შესთხოვა.

**გაზეთ „ალიონის“ ფოტოები**



# „ოპტიმალური მიზანი:– გუნდი გადარჩეს....“

საქართველოს პირველობის პირველ ლიგაში მოას- პარეზე ოზურგეთის „მერცხალი“გათამაშების პირველი წრის შემდეგ მისთვის უჩვეულო, ბოლო ადგილზე იმყოფება. თუ როგორ ემზადება გუნდი II წრისთვის, რა ცვლილებები მოახდინეს გუნდში, ამის შესახებ საფეხბურთო კლუბ „მერცხ- ალის“დირექტორს **შოთა გიორგაძეს** და მთავარ მწვრთნელს **მერაბ ვანიძეს** ვესაუბრეთ



**–პირველი, რაც გუნდის ერთგულ გულშემატკივრებს აინტერესებთ, არის განხორციელებული ცვლილებები, როგორ გააძლიერეთ გუნდი II წრისთვის, როდის დაიწყეთ მოსამზადე- ბელი პერიოდი?**

მერაბ ვანიძე: –16 იანვრიდან ვვარჯიშობთ. თავდაპირველად ოზურგეთის ცენტრალური სტადიონის სარბენ ბილიკებზე ვვარჯიშობდით. შემდეგ ბოხვაურის სტადიონზე. მოგეხსენებათ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა მიკროავტობუსი შეგვიძინა და გადაადგილების პრობლემა აღარ გვაქვს. ზუგ- დიდის „დინამოდან“მივიღეთ: მეკარე არჩილ მაქაცარია, ლევან ქანთარია, გიორგი ბერიშვილი; ქობულეთის „შუქურადან“–გიორ- გი ზოიძე; თბილისის „ვიტ ჯორჯიადან“–გიორგი ვაშაკიძე. დღეის მდგომარეობით 27 ფეხბურთელი გვყავს.

**–გჭირდებათ კი ასეთი გრძელი სათადარიგო სკამი? ტესტ- მატჩები უმეტესად უარყოფითი შედეგით მთავრდება (ბათუმის „დინამო 2“3:0; ბახმარო“1:1, 3:3; „სამტრედია“0:3; „წყალ- ტუბო“2:4; „შუქურა“2:4).**

–ეს იმით აიხსნება, რომ ამ შეხვედრებში ძირითადი გუნდი არ თამაშობდა. ძირითადიდან 3-4 ფეხბურთელი იყო, დანარჩენი კი ის ფეხბურთელები, რომლებიც უნდა გაგვესინჯა მივიღებდით თუ არა „მერცხალში.“რაც შეეხება გრძელ სათადარიგო სკამს, ჩამოსულ ფეხბურთელებს „მერცხალთან“მაისის ბოლომდე აქვთ ხელშეკრულება გაფორმებული. შემდეგ არ ვიცით, დარჩებიან თუ არა გუნდში. გარდა ამისა, რამდენიმე ფეხბურთელს გაფრთხილებები აქვს და არ ვიცით, რომელი მატჩის გამოტოვე- ბა მოუწევთ. დარჩენილ 12 შეხვედრაში გუნდმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ იყოს ბრძოლისუნარიანი და დასახული მიზანი შეასრულოს.

24 თებაერვალს თერჯოლის „საპოვნელასთან“გვაქვს გასამართი საკონტროლო მატჩი და გუნდის ოპტიმალურ შემადგენლობას იქ დავაყენებთ.

**–გუნდს პირველი წრის შემდეგ მხოლოდ 5 ქულა აქვს. რა გარანტიები გაქვთ, რომ პირველ ლიგაში ადგილს შეინარჩუნებთ?**

შოთა გიორგაძე: –გვაქვს ოპტიმალური მიზანი:ც –გუნდი გადარჩეს. გვაქვს იმის გარანტია, რომ გუნდი დარჩეს პირველ ლიგაში. ეს ჩვენს ფეხბურთელებში იგრძნობა. როგრც იცით ჩვენ პირველი ლიგის „ა“ზონაში გამოვდივართ. წელს თითოეული ზონიდან 3-3 გუნდი ტოვებს პირველ ლიგას. ჩვენი ზონიდან ფინანსური მდგომარეობის გამო მეორე წრეში არ ითამაშებს „აჩაბეთი,“ასე რომ 2 გუნდი უნდა გავარდეს.

**–რა ფინანსური მოტივაცია ექნებათ ფეხბურთელებს?**

–ხელფასები არ არის დიდი. ფეხბურთელები საშუალოდ 260 ლარიდან 400 ლარამდე ხელფასს იღებენ. წელს ჩვენ გვე- ქნება პრემიალური სისტემა. თითოეულ მოგებულ მატჩზე ფეხბურთელი დამატებით 100 ლარს მიიღებს. ეს არ არის დიდი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩოხატაურის „ბახმაროს“10-მდე ფეხბურთელი ჰყავს ჩამოყვანილი და საშუალო ანაზღაურება 1000 ლარია.

**–არის პროექტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ პირველი ლიგის ყველა გუნდი დააფინანსოს...**

–სწორედ ამიტომაც, მეტი მონდომება გვმართებს, რომ ჩვენი ადგილი დავიმკვიდროთ პირველ ლიგაში. ახალი პროექტით აღარ იქნება გუნდები ორ ზონაში განაწილებული და 2014-2015 წლების გათამაშებაში, სავარაუდოდ 20 გუნდი იას- პარეზებს.

**–რა კეთდება ფეხბურთელების პირობების გაუმჯობესებისათვის?**

–საფეხბურთო მოედანი მზადყოფნაშია (დირექტორი მურთაზ აბაშიძე), ფეხბურთელების საცხოვრებელი კორპუსი აღდგება, განახლდება გასახდელები და ა.შ. არის შეპირება ფედ- ერაციიდან მაყურებელთა ტრიბუნებზე სკამების გადმოცემის შესახებ.

**–გუნდის ხელმძღვანელები**

–მთავარი მწვრთნელი მერაბ ვანიძე, მწვრთნელები აკაკი ათუაშვილი, კახა როხაძე.

რეგიონლიგის გუნდს წვრთნიან აჩიკო ლიპარტელიანი და გია გოგუა (სავარაუდოდ იგი ლანჩხუთის „გურიაში“გადაჰყავთ)

გარდა ამისა ბავშვთა გუნდებს წვრთნიან („ბასა“,„მერცხ- ალს“შეუერთდა) ვახტანგ ჩხაიძე, შუქრი კაშია, გოჩა როყვა, ზაზა ჟღენტი.

ბავშვთა ფეხბურთის განვითარების პრეზიდენტია ხარიტონ ჩხატარაშვილი. (როგორც სპორტის ოსტატმა იური ჩხაიძემ შემდგომ გვითხრა, იგი სელექციონერია გუნდში).

მომავალში ოზურგეთში ბავშვთა საფეხბურთო სკოლის შექმნა იგეგმება, რომელსაც ფეხბურთის ფედერაცია დააფი- ნანსებს.

**–როგორია მწვრთნელთა გადამზადების პროცესი..**

–გურიაში მხოლოდ ორი „ა“კატეგორიის მწვრთნელია: თემურ ლორია და ხარიტონ ჩხატარაშვილი; ამჟამად ქ. ქობულეთში „ბ“კატეგორიის მწვრთნელთა გადასამზადებელ კურსებზე გავგზავნეთ ჯონი კალანდაძე და არჩილ ლიპარტელიანი...

**–წარმატებებს გისურვებთ...**

# „მომავლის წარსულის“ განხილვა ჩოხატაურში

ნუგზარ ასათიანი



ფაზისის საერო აკადემიამ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ცენ- ტრალურ ბიბლიოთე- კაში ფაზისის საერო აკადემიის ვიცე-პრეზი- დენტის გერონტი კუხა- ლეიშვილის წიგნი მატ- იანე „მომავლის წარ- სული“პრეზენტაცია გა- მართა.

პრეზენტაციას უძ- ღვებოდა ფაზისის საე- რო აკადემიის გურიის ორგანიზაციის თავმჯდომარე **რევაზ თედორაძე.**

წიგნი მატიანეს შესახებ ისაუბრა ფაზისის საერო აკადემიის წევრმა გია დარჯანიამ.

„წარსულის, აწმყოსა და მომავლის წიგნი მატიანე“–ასე უწოდებენ ამ 800 გვერდიან ასეულობით ფერადი და შავთეთრი ფოტოებით, უნიკალური საარქივო მასალით გაჯერებულ წიგნს, რომელიც ასახავს გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე საქართველოს ამ ლამაზი და დიდი ისტორიის მქონე ქალაქის ისტორიას.

წიგნის ავტორი წარსულსაც წვდება. სათანადო ადგილი ეთმობა გურიის თემას.

როგორც ბატონმა გია დარჯანიამ თქვა, გერონტი კუხალეიშვილის წიგნს არა მხოლოდ შემეცნებითი და ემოციური, არამედ მორალური და მოქალაქეო- ბრივი დატვირთვა და დროსთან მიმართებაში ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

წიგნის პრეზენტაციაზე სიყვებით გამოვიდნენ: ოზურგეთის რაისაბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, **მაყვალა ჟღენტი**; ფაზისის აკადემიის წევრი **გოგი გუდავაძე**, ბუკისციხის სკოლის დირე- ქტორი **ციალა მახარაძე**, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე **ქეთევან სიხარულიძე, თემურ გუგუნავა** (ლანჩხუთი) და სხვები.

წიგნის ავტორმა ეს წიგნი სათანადო წარწერით 20-მდე ადრესატს გადას- ცა.

ღონისძიებამ შემდეგ ბუკისციხისა და იანეულის საზღვარზე ჯერ გურის ტბასთან, ხოლო შემდეგ სოფ. იანეულში რევაზ თედორაძის ოჯახში გადა- ინაცვლა.

# გივი ჯაში



ოზურგეთის პედაგოგიურ საზო- გადოებას დააკლდა კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება, სანიმუშო პე- დაგოგი, პედაგოგთა ღირსეული ოჯ- ახის წარმომადგენელი, უკეთილშობი- ლესი ადამიანი, ბატონი გივი ჯაში.

ბატონი გივი ათეული წლების მანძილზე უანგაროდ, პროფესიის უსაზღვრო სიყვარულით და უდი- დესი შრომისმოყვარეობით ემსახურე- ბოდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის საქმეს.

ალ. პუშკინის სახელობის სახ- ელმწიფო პედაგოგიური ინსტი- ტუტის რუსული ენისა და ლიტერ- ატურის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მან სხვადასხვა დროს იმუშავა. ქ. თბილისის, ქ. ოზურგეთის №1 საჯარო სკოლაში, კვების მრეწველობის ტექნიკუმში, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლე- ბლად. გარკვეული წლები იგი მუშაობდა ოზურგეთის განათლების განყოფილებაში მეთოდისტად.

ბატონი გივი გამორჩეული, ცნო- ბილი ღაწლმოსილი პედაგოგის სამ- სონ ჯაშის ერთადერთი ვაჟი იყო, რომელმაც მამის პროფესია აირჩია. მან შექმნა ლამაზი ოჯახი არაჩვე- ულებრივ პედაგოგ ალმა ბუზიაშვ- ილთან ერთად, რომლის გარდაცვალ- ებამ ძალზე დიდი ტკივილი მიაყენა.

ბატონმა გივიმ ღირსეულად მოიხადა თავისი პროფესიული ვალი და შეუერთდა წინაპართა აჩრდი- ლებს.

მისი ნათელი ხსოვნა მარად და- რჩება მის აღზრდილებსა და კოლეგებს შორის.

**საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია.**

დედა ვენერა; მეუღლე ირმა; შვილები ანა, გიორგი; და ქეთინო, ძმა დათო; ბიძები კაკო, მურადი ონიანები; დისშვილები გურამ, ნინო ჩუბინიძეები; უახლოესი ნათესავები იუწყებიან **შოთა მამიას ძე მორგოშიას** გარდაცვალებას.

დაკრძალვა 27 02. სოფ. შრომაში.

შპს ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოს- ტიკური ცენტრი „ანასეულის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლამარა, ნური გუგავებს, შვილისა და ძმის **ნუკრი გუგავას** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე